სს ”საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა”

# სავაჭრო წარმომადგენლების გამოცდის ჩატარების წესი

## მუხლი 1: რეგულირების სფერო და მიზანი

1. ეს წესი არეგულირებს საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის სასერტიფიკატო გამოცდების ჩატარების წესს და მისი მიზანია საგამოცდო პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.
2. სს "საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის"(შემდგომში - "სენბი") სერტიფიკაციის სამსახური სერტიფიკაციის პროცესს წარმართავს მის ვებგვერდზე გამოქვეყნებული სერტიფიკაციის სქემის შესაბამისად. სერტიფიკაციის სქემა შემუშავებულია ISO 12024 სტანდარტის - "შესაბამისობის შეფასება - ზოგადი მოთხოვნები პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოების მიმართ" (სსტ ისო/იეკ 17024 : 2012/ 2012) - სრული დაცვით.
3. ''სენბი'' გამოცდებს ატარებს ამ წესის დებულებათა შესაბამისად და მისი თითოეული თანამშრომელი, საგამოცდო ცენტრის მონიტორი (შემდგომში - მონიტორი) და გამოსაცდელი კანდიდატი (შემდგომში - კანდიდატი) ვალდებულია განუხრელად დაიცვას ამ წესის მოთხოვნები.
4. თითოეული მონიტორი უფლებამოსილია კანდიდატის მიერ ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისას გამოიყენოს რეაგირების შესაბამისი ზომები.

## მუხლი 2: რეგისტრაცია

1. საგამოცდო ინფორმაცია კანდიდატებს ეგზავნებათ ელექტრონული სახით გამოცდამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე.
2. კანდიდატი ვალდებულია: გაეცნოს ელექტრონულ ფოსტაზე საგამოცდო რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციას (საგამოცდო ადგილი, დრო, და ა.შ.)
3. კანდიდატი ასევე ვალდებულია გაითვალისწინოს, რომ შესაძლოა ტექნიკური თუ სხვა მიზეზით რეგისტრაციის ინფორმაცია არ გაეგზავნოს მეილზე, რაც არ ნიშნავს, რომ გამოცდა არ ტარდება.
4. კანდიდატი ვალდებულია გამოცხადდეს საგამოცდო ცენტრში რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციაში მითითებულ რეგისტრაციის დაწყების დროს.
5. კანდიდატი ვალდებულია  მონიტორს წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი ფოტოსურათიანი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა, მართვის მოწმობა, პასპორტი), რომელიც იძლევა კანდიდატის იდენტიფიცირების საშუალებას და შევსებული/ხელმოწერილი განცხადება ''სავაჭრო წარმომადგენლის გამოცდაზე რეგისტრაციის შესახებ''. შევსებული განცხადების თან არქონის შემთხვევაში, კანდიდატს გადაეცემა რეგისტრაციის ფორმა ხელახლა შევსებისა და ხელმოწერისათვის.

6. რეგისტრაციის პროცესის გავლის შემდეგ, კანდიდატი ვალდებულია დაიკავოს მისთვის, სპეციალური ნომრით, განსაზღვრული საგამოცდო ადგილი.
7. კანდიდატი ვალდებულია გამოცდაზე გამოცხადდეს დროულად. დაგვიანების შემთხვევაში კანდიდატი გამოცდაზე არ დაიშვება.

## მუხლი 3: საგამოცდო ცენტრში ქცევის წესები

1. გამოსაცდელი კანდიდატი ვალდებულია:
   1.1. გაეცნოს ელექტრონულ ფოსტაზე გამოგზავნილ საგამოცდო რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციას.
   1.2.მობილური ტელეფონი ან/და სხვა ელ.მოწყობილობა შეინახოს საგამოცდო ცენტრში ამ მოწყობილობისთვის განკუთვნილ ადილას.
   1.3. მთელი გამოცდის განმავლობაში, კანდიდატისთვის განკუთვნილ სამუშაო მაგიდაზე, გამოსაჩენ ადგილას განათავსოს პირადობის საიდენტიფიკაციო დოკუმენტი.
   1.4. საგამოცდო ცენტრი არ დატოვოს გამოცდის დასრულებამდე.
   1.5.შენობაში და საგამოცდო სივრცეში დაიცვას COVID-19 პანდემიის რისკების შემცირების მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.
   1.6.საგამოცდო დროის დასრულების შემდეგ შეწყვიტოს ტესტზე მუშაობა.
2. გამოცდაზე აკრძალულია:
   2.1.სამუშაო მაგიდასთან მობილური ტელეფონის ან/და სხვა ელ.მოწყობილობის ქონა.
   2.2. გამოცდაზე სხვისი ნაშრომის ან დამატებითი დამხმარე ჩანაწერების გამოყენება.
   2.3.სხვა პირთან გადალაპარაკება, მისთვის კარნახი, გადაწერის ან რაიმე დაუშვებელი დამხმარე მცდელობა.
   2.4.ნებისმიერი სხვა ქმედება, რაც შეიძლება ჩაითვალოს დაუმსახურებელი და არაობიექტური შეფასების მიღების საფუძვლად, სხვისთვის ხელის შეშლად, შეცდომაში შეყვანად.
3. კანდიდატი ავტომატურად მოიხსნება გამოცდიდან და მისი ნაშრომი შეფასდება 0 ქულით:
   ა)საგამოცდო ცენტრის გამოცდის დასრულებამდე დატოვების შემთხვევაში.
   ბ)საგამოცდო დროის დასრულების შემდეგ ტესტზე მუშაობის გაგრძელების შემთხვევაში.
   ბ)გამოცდაზე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადების შემთხვევაში.
   გ) მონიტორისთვის შეურაცხყოფის მიყენების, მითითებისადმი დაუმორჩილებლობის, ხმაურისა და გამოცდის მსვლელობის სხვაგვარი შეფერხების შემთხვევაში.
4. გამოცდის მიმდინარეობისას კანდიდატი მიიღებს გაფრთხილებას:

ა)ნებადართული ნივთების გარდა სხვა ნივთების აღმოჩენის შემთხვევაში.
ბ)1.2, 1.5, 2.1, 2.3, 2.4 პუნქტების დარღვევის შემთხვევაში.

5. გაფრთხილების შემდეგ მოთხოვნის განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევაში კანდიდატი მოიხსნება გამოცდიდან.
6. გამოცდის მიმდინარეობისას კანდიდატს შეუძლია გააკეთოს დამატებითი ჩანაწერები საგამოცდო ტესტის ფურცლის მეორე მხარეს.
7. თითოეული კანდიდატისთვის საგამოცდო დრო აითვლება მონიტორის მიერ ტესტირების დაწყებასთან დაკავშირებული განცხადებიდან.

მუხლი 4: საგამოცდო ცენტრის მონიტორის უფლება-მოვალეობები

1. მონიტორი ვალდებულია:

1.1. უზრუნველყოს კანდიდატთა რეგისტრაცია.

1.2.უზრუნველყოს რეგისტრაციის დასრულების შემდეგ საგამოცდო საკითხების დარიგება.

1.3.უზრუნველყოს გამოსაცდელი კანდიდატებისთვის სენბის მიერ მიწოდებული საგამოცდო წესებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაცნობა და ტესტების დარიგება. გამოაცხადოს ტესტირების დაწყების დრო და ტესტირების დასრულების დრო.

1.4.ტესტირების დროის დასრულებამდე 30, 15 და 5 წუთით ადრე გამოაცხადოს ტესტირების დასრულებამდე დარჩენილი დრო.

1.5. უზრუნველყოს საგამოცდო საკითხების შეგროვება საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე.

1.6.შენობაში და საგამოცდო სივრცეში დაიცვას COVID-19 პანდემიის რისკების შემცირების მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები;

1.7.კანდიდატის სამუშაო მაგიდა უზრუნველყოს 1 ბოთლი 0.5 ლიტრი წყლით, საწერი კალმითა და პირბადით.

1.8.უზრუნველყოს დისციპლინა ამ წესის მე-3 მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო დარღვევის შემთხვევაში, ასახოს შესაბამისი ინფორმაცია ოქმში.

1.9.ტესტირების დასრულებისთანავე ბოლომდე შეავსოს ‘‘სენბის’’ მიერ წარმოდგენილი ტესტირების ოქმი.

1.10 გამოცდის დასრულებისთანავე საგამოცდო ტესტები გადასცეს ‘‘სენბის’’ წარმომადგენელს.